



შპს ორიენტირი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

მასაჟის სახეები და მეთოდები

| | | |
|--|--|----------|
| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მასაჟისტი | |
| საფეხური | III საფეხური | |
| სასწავლო კურსის დასახელება | მასაჟის სახეები და მეთოდები | |
| სასწავლო კურსის კოდი | MAS03-09 | |
| სასწავლო კურსის ხანგრძლივობა | 5 კვირა | |
| პროფესიული მასწავლებელი | ნინო ლურსმანაშვილი | |
| საკონტაქტო ინფორმაცია | 599 374 326 | |
| ელ-ფოსტა | E-mail: lursmanashvili.62@mail ru | |
| 4კრედიტი 100 საათი | ლექცია | 30საათი |
| | სამუშაო ჯგუფში მუშაობა | 40 საათი |
| | შუალედური გამოცდა | 2 საათი |
| | დასკვნითი გამოცდა | 3საათი |
| | დამოუკიდებელი მუშაობა | 25საათი |
| სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა | ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია | |
| სასწავლო კურსის მიზანი | სასწავლო კურსის მიზანია პროფესიულ სტუდენტს შეასწავლოს სამედიცინო კაბინეტის მოწყობა, სამედიცინო მასაჟის საშუალებები, პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდები, ანტიცელულიტური, თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეების ჩატარების მეთოდები. | |
| სასწავლო კურსის შინაარსი | იხ. დანართი | |
| პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება | სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება: ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი, (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%, (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%, (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%, (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%, ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50% რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით | |

დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბოლოო შეფასება არის შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამი.

შუალედური შეფასება - მაქსიმუმ 60 ქულა.

დასკვნითი გამოცდის შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასება შედგება :

I. აქტივობა სამუშაო ჯგუფში მუშაობისას - მაქსიმუმ 20 ქულა;

შეფასება ხდება 5 - ჯერ, თითოეული-მაქსიმუმ 4 ქულა

0 ქულა - მიმდინარე მასალით გათვალისწინებული ძირითადი საკითხების არცოდნა. ინდივიდუალური აქტივობა არ აღინიშნება.

1 ქულა - საკითხებზე შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა, ჯგუფში ინდივიდუალური აქტივობა დაბალი.

2 ქულა - ძირითადი საკითხები იცის ხარვეზებით, ჯგუფში ინდივიდუალური აქტივობა საშუალო.

3 ქულა - ძირითადი საკითხები იცის სწორად, უმნიშვნელო ხარვეზით მსჯელობს, აკავშირებს ცნებებს ერთმანეთთან და იყენებს ადეკვატურად. ჯგუფში ინდივიდუალური აქტივობა კარგი.

4 ქულა - ძირითადი საკითხები იცის სწორად, ტერმინოლოგიას ფლობს, აქვს ცნებების დაკავშირების უნარი, ჯგუფში ინდივიდუალური აქტივობა მაღალი.

შუალედური გამოცდის შეფასება -მაქსიმუმ- 40 ქულა.

ტარდება ტესტით, რომელიც მოიცავს 40 საკითხს.

1 ქულა-სწორი პასუხი

0 ქულა-მცდარი პასუხი.

დასკვნითი გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა

პროფესიულსტუდენტს ეძლევა ბილეთი 10

| | |
|-------------------------|---|
| | <p>საკითხით, თითოეული ფასდება 4 ქულით 0 ქულა-ვერ პასუხობს ბილეთში მითითებულ საკითხებს 1 ქულა- ნაწილობრივ ერკვევა ჩასატარებელი მასაჟის მეთოდებში, არ იცის საჭირო მეთოდის შერჩევა 2 ქულა- ცუდად ერკვევა ჩატარების მეთოდებში, კონკრეტულ მეთოდიკაში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები. 3 ქულა-ერკვევა ჩატარების მეთოდებში, კონკრეტულ მეთოდიკაში დაშვებულია უმნიშვნელო შეცდომები. უშეცდომია. 4 ქულა-კარგად ერკვევა ჩატარების მეთოდებში, კონკრეტულ მეთოდიკა უშეცდომია.</p> <p><i>პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო კურსში კრედიტი მიენიჭება, თუ ქულების დაჯამებით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;</i> <i>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</i></p> |
| <p>სწავლის შედეგები</p> | <p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო მასაჟის საშუალებები: ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმითი ილეთები, რხევები (ბერტყვა, შერხევა, ვიბრაცია), პასიური მოძრაობები. • პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდიკები, ანტიცელულიტური, თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეების ჩატარების მეთოდები. • სამედიცინო მასაჟის კაბინეტის მოწყობა: სამასაჟე ოთახის ფართობი, სამასაჟო ტახტების ფორმა (ზომა,სიმაღლე), სამასაჟო ზეთები, საცხები და მალამოები, სპეციფიკური აპარატურა (ვიბრომასაჟორები, ვაკუმმასაჟორები და სხვა). <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> |

| | |
|---|---|
| | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდების გამოყენება; • ტალახის, პარაფინის აპლიკაციის დადება. ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება. • სამასაჟო ზეთების, საცხებისა და მალამოების, სპეციფიკური აპარატურის (ვიბრომასაჟორები, ვაკუმმასაჟორები და სხვა) გამოყენება; |
| სწავლებისა და სწავლის მეთოდები | <p>სწავლების მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა (როლური თამაშები, დემონსტრირება, პრაქტიკული დავალება) საშინაო დავალების გამოკითხვა,</p> <p>სწავლის მეთოდები: ლიტერატურით გათვალისწინებული თეორიული მასალის ათვისება, გამოცდებისათვის მზადება.</p> |
| სავალდებულო ლიტერატურა | <ol style="list-style-type: none"> 1. მ. აფციაური „სამკურნალო მასაჟი“ თბილისი 2014 წ. 2. ხათუნა ურუშაძე „მასაჟი“ 2012 წ 3. დარეჯან ჩოკოშვილი „მასაჟი“ 2011 4. რ. სვანიშვილი; ზ. კახაბრიშვილი „სპორტული მედიცინა და კინეზოთერაპია“ თბილისი 2010 წ. 5. ლ. ჩიქოვანი „მასაჟი“ თბილისი |
| დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა | <p>http://youtube.com; http://google.com; www.massaj.orj</p> |
| სასწავლო რესურსები | <p>შპს ორიენტირის საკუთრებაში არსებული სასწავლო რესურსი</p> |

| # | კვირა | ლექციის/სამუშაო ჯგუფში მუშაობის თემა | საათების რაოდენობა კვირაში | | |
|---|-------|---|----------------------------|------------------------|---------|
| | | | ლექცია | სამუშაო ჯგუფში მუშაობა | გამოცდა |
| 1 | 9 | სილაბუსის გაცნობა; მასაჟი. მისი არსი. განვითარების მოკლე ისტორია. სამასაჟო კაბინეტის მოწყობა:სამასაჟო ოთახის ფართობი,სამასაჟე ტახტის ფორმა(ზომა, სიმაღლე).სპეციფიური აპარატურა(ვიბრომასაჟორები,ვაკუუმმასაჟორები და სხვა) | 7 | 8 | |
| 2 | 10 | მასაჟის პროცედურის ხანგრძლივობა. მასაჟის პროცედურების რაოდენობა. მასაჟის პროცედურა და ფსიქოთერაპიული მიდგომა. მოთხოვნები მასაჟისტისა და ავადმყოფის მიმართ. მასაჟისტის სამუშაო რეჟიმი. | 7 | 8 | |
| 3 | 11 | მასაჟის დანიშვნის ჩვენებები და უკუჩვენებები. მასაჟის ძირითადი მეთოდები. ხელსმა: მისი ფიზიოლოგიური მოქმედება; ხელსმის შესრულების მეთოდთა და ტექნიკა; ხელსმის სახეობები. სრესა: მისი ფიზიოლოგიური მოქმედება; სრესის შესრულების მეთოდთა და ტექნიკა; სრესის სახეობები. | 5 | 8 | |
| | | შუალედური გამოცდა | | | |
| 4 | 12 | თელვა: მისი ფიზიოლოგიური მოქმედება; თელვის შესრულების ტექნიკა; თელვის სახეობები; ვიბრაცია: მათი ფიზიოლოგიური მოქმედება; ვიბრაციის შესრულების ტექნიკა; ვიბრაციის სახეობები. თვითმასაჟი. წერტილოვანი მასაჟი. თვითმასაჟის ჩატარების ტექნიკა. წერტილოვანი მასაჟის ჩატარების ტექნიკა. | 6 | 9 | |

| | | | | | |
|--------------|----|---|----|----|---|
| 5 | 13 | მასაჟის დროს გამოყენებული შესაზელი საშუალების გამოყენების მეთოდები. სამასაჟო ზეთები, საცხები და მალამოები. თაფლი, ტალახი, პარაფინი და სხვა ეგზოტიკური მასაჟის ჩატარების სახეები. ორგანიზმის გამოწრთობა. ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟები. | 5 | 7 | |
| | | დასკვნითი გამოცდა | | | 3 |
| საბოლოო ჯამი | | | 30 | 40 | 5 |
| | | | 75 | | |